შპს „პონტიკა" ს/კ 402073448.
ფაქტიური მისამართი:
ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის №183/185
ტელ.: +995555295558
Email: abuashvili.lala@gmail.com

GAC – IB – 0306
სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

"ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის #1-ში, საცხოვრებელი კომპლექსის, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის (I ეტაპი) განკუთვნილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"-ს მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირების ანგარიში

№ PG 3005/30.06.2023

მომსახურეობის სფერო: პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება;

ინსპექტირების დაწყების თარიღი: 19.06.2023

ინსპექტირების დასრულების თარიღი: 30.06.2023

დამკვეთი: „შპს ემკვადრატის პარკი 4„ ს/კ 405535559

საფუძველი: ხელშეკრულება №855/06-23; განაცხადი

შემსრულებელი ექსპერტი და შემსრულებელის კვალიფიკაცია:

გურამ იაშვილი უმაღლესი განათლებით ინჟინერ გეოლოგი. ჰიდროლოგიის და საინჟინრო გეოლოგიის კვალიფიკაციით. სპეციალობით მუშაობს 28 წლის სტაჟით.

სპეციალისტის წინაშე დასმული ამოცანა:

"ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის #1-ში, საცხოვრებელი კომპლექსის, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის (I ეტაპი) განკუთვნილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"-ს მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.

წარმოდგენილი მასალები:

"ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის #1-ში, საცხოვრებელი კომპლექსის, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის (I ეტაპი) განკუთვნილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ ს.ნ. და წ. 1.02.07-87 – „საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისთვის";
- ✓ პ.ნ. 02.01-08 – „შენობა-ნაგებობების ფუძეები";
- ✓ პ.ნ. 01.01.09 – „სეისმომედეგი მშენებლობა";
- ✓ ს.ნ. და წ. IV-5-82 – „მიწის სამუშაოები";
- ✓ ს.ნ.და წ. 3.02.01-87 – „მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები";
- ✓ პ.ნ. 01.05-08 – „სამშენებლო კლიმატოლოგია";
- ✓ ს.ნ. და წ. 2.03.11-85 – „სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისგან დაცვა";
- ✓ სახსტანდარტი 25100-82 – „გრუნტების კლასიფიკაცია";
- ✓ PNT/IB/IP-7.1-22-04-A45 ინსპექტირების პროცედურა.

გამოკვლევა

ჩვენს მიერ, 2023 წლის ივნისის თვეში, შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის #1-ში, საცხოვრებელი კომპლექსის, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობის (I ეტაპი) ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები;

ტექნიკური დავალება

დამკვეთი: შ.პ.ს. "ემკვადრატის პარკი" (დირექტორი: ირაკლი ბურდილაძე);

ობიექტის დასახელება: – ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირის #1-ში, საცხოვრებელი კომპლექსის, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობის (I ეტაპი) ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

მშენებლობის ტიპი(ახალი, რეკონსტრუქცია, გაფართოება)**:** – ახალი მშენებლობა;

ობიექტის მისამართი: – ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირის #1;

ობიექტის დაპროექტების სტადია: – სამუშაო დოკუმენტაცია;

ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: – მეორე;

ობიექტის ტექნიკური დახასიათება: – დასაპროექტებელია 3, 8, 10 და 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, სარდაფის ერთი სართულით, 3 სართულიანი საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის შენობები;

საძირკვლის ტიპი: – გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე;

შენობების კონსტრუქციული ტიპები: – კარკასული;

დატვირთვა საძირკვლებზე: – 150-220 კნ/მ^2 (15-22 ტძ/მ^2);

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში (დასკვნა) წარდგენილი იქნას ქართულ აკინძული 3 ეგზემპლიარად +ელ. ვერსიაში;

- ექსპერტიზისათვის წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგების ანგარიში, რომელიც შედგება:

– ტექნიკური დავალება;

– საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში (ტექსტური ნაწილი);

ტექსტური ნაწილის დანართი:

– გრუნტების ლაბორატორიული კვლევების შედეგების კრებსითი ცხრილი;

– გრუნტების დამარილიანების ხარისხის გამოკვლევის შედეგები;

– კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი;

– კომპრესიული და ძვრაზე გამოცდის გრაფიკები – 12 გრაფიკი;

– გრუნტების სიმკვრივის მნიშვნელობების სტატისტიკური დამუშავება (დანართი 1, 2);

– გრუნტების სიმტკიცის მახასიათებლების სტატისტიკური დამუშავება (დანართი 3);

– გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა;

გრაფიკული მასალა:

– უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, გამონამუშევრების და ჭრილის ხაზების დატანით;

– ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები;

– უბნის გეოლოგიური ჭრილები;

– პირობითი აღნიშვნები;

- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარებულია: – შ.პ.ს. "ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს მიერ; დირექტორი: ბ. მირიანაშვილი; საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების უფროსი: ზ. კვაჭანტირაძე;

- შ.პ.ს. "ემკვადრატის პარკი"-ს (დირექტორი ი. ბურდილაძე) დაკვეთით (ხელშ. #58/2018) შ.პ.ს. "ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2018 წლის აპრილში, ზემოთ დასახელებულ მისამართზე ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

- როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშიდან ჩანს, კვლევის მიზანია:

– სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დახასიათება;

– დასაპროექტებელი კომპლექსის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა;

- საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით (ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად) დათვალიერებული იქნა მიმდებარე ტერიტორია და მოძიებული იქნა ამ რაიონში უბნის მიმდებარედ ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფონდო მასალები;

- სამშენებლო მოედანზე, ტექნიკური დავალების საფუძველზე გაიბურღა დამკვეთის მიერ განსაზღვრული 9.0-17.0მ. სიღრმის 14 ჭაბურღილი (მათ შორის #2 1მ. სიღრმის შურფ-ბურღილი / საერთო სიღრმით 172.0გრძ/მ);

- ჭაბურღილებიდან მათი შემდგომი ლაბორატორიული კვლევისათვის აღებული იქნა – დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის 40 ნიმუში(ГОСТ 12071-84) და 4 გრუნტის წყლის სინჯი;

– გრუნტების ნიმუშების გამოკვლევა ჩატარდა განყოფილების ტექნიკურ ლაბორატორიაში, დ. ახობაძის ხელმძღვანელობით;

– წინამდებარე ანგარიში შედგენილია ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების გამოყენებით;

– ანგარიშს თან ახლავს – გრუნტების ლაბორატორიული კვლევების კრებსითი ცხრილი, წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები, მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა (მოწოდებული იქნა დამკვეთის მიერ) ჭაბურღილებისა და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილების ხაზების დატანით, ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები და უბნის საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები;

- საკვლევი ტერიტორია MSK 64 სკალის შესაბამისად მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას / სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი – A–0.17;

- სეისმური თვისებების მიხედვით, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი(ფენა 1) – III კატეგორია;

ბ) დანარჩენი გრუნტები(ფენა 2, 3, 4 და 5) – II კატეგორია;

- საქ. სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება III კლიმატური რაიონის, III-გ ქვერაიონს;

- სამშენებლო უბანზე საველე და ლაბორატორიული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია ნაყარი (ტექნოგენური) გრუნტი და 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ს.გ.ე.):

1. ნაყარი გრუნტი;

2. ს.გ.ე. 1 – თიხა – ნახევრად მყარი კონსისტენციის;

3. ს.გ.ე. 2 – თიხა – ძნელპლასტიკური კონსისტენციის;

4. ს.გ.ე. 3 – კენჭნაროვანი გრუნტი;

5. ს.გ.ე. 4 – ძირითადი ქანი – ძლიერ გამოფიტული;

6. ს.გ.ე. 5 – ძირითადი ქანი – ნაკლებად გამოფიტული

მცირე სიმძლავრის ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1) ს.გ.ე.-დ არ განიხილება;

- ანგარიშში განხილულია საკვლევი ტერიტორიის:

» გეოლოგიური აგებულება;

» გეომორფოლოგიური აგებულება;

» საინჟინრო-გეოლოგიური პირობები;

» ჰიდროგეოლოგიური პირობები;

» კლიმატური პირობები;

» სეისმური პირობები;

» გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება;

» ლითოლოგიური ჭრილების აღწერა;

» ლაბორატორიული კვლევების შედეგები;

- ანგარიში შედგენილია არსებული ფონდური, საველე და ლაბორატორიული მასალების ანალიზის საფუძველზე;

- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები განხორციელებულია და დასკვნა მომზადებულია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო ნორმები და წესები) მოთხოვნათა გათვალისწინებით;

"დასკვნები და რეკომენდაციები"

შედგება 14 პუნქტისგან, სადაც აღნიშნულია, რომ:

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია უბანზე, დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჯდომადი გრუნტი), არ აღინიშნება.

ხელსაყრელია გეომორფოლოგიური ფაქტორი _ ტერიტორია წარმოადგენს ჭალისზედა ტერასას, სადაც გრუნტები ხასიათდებიან თითქმის თარაზული დალექვით (ქანობი <0,1) და ძირითადი ქანების ეროზიული ზედაპირიც, თარაზულ სიბრტყეშია განლაგებული. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ს.ნ. და წ. 1.02.07_87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, სამშენებლო ტერიტორია მთლიანობაში მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის), თუმცა გარკვეული დაბალსართულიანი შენობა-ნაგებობები, გეოლოგიურ გარემოსთან დამოკიდებულებაში (აქტიური ზონის ფარგლებში), შეიძლება მიეკუთვნოს I კატეგორიას (მარტივი);

2. სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიურ ჭრილში, გამოიყო 5 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე):

I სგე _ ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხოვანი გრუნტი (ფენა 2);

II სგე _ ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხოვანი გრუნტი (ფენა 2');

III სგე _ კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3);

IV სგე _ ძლიერ გამოფიტული, ძირითადი ქანი (ფენა 4);

V სგე _ ნაკლებად გამოფიტული, ძირითადი ქანი (ფენა 5);

მცირე სიმძლავრის ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1) სგე-ად არ განიხილება;

3. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობების მახასიათებლებიდან გამომდინარე, დაფუძნება შეიძლება განხორციელდეს:

ა) I სგე-ის თიხოვან გრუნტზე _ რკინაბეტონის ფილის საძირკვლის საშუალებით;

ბ) III სგე-ს კენჭნაროვან გრუნტზე _ ცალკემდგომი საძირკვლების საშუალებით;

გ) V სგე-ს გრუნტზე _ ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯებით;

შენიშვნა: ერთ-ერთ ვარიანტად მაღალი სართულიანობის შენობისთვის, შეიძლება განხილულ იქნას ქვაბულის ამოღება კენჭნაროვან გრუნტამდე და ამოყვანა ფენობრივად შემკვრივებული (ან ვიბრომექანიზმის გამოყენებით) კენჭნაროვანი საბალასტო გრუნტით საჭირო დონემდე (საჭირო დონე განისაზღვრება ნულოვანი ნიშნულიდან სარდაფის იატაკის მდებარეობით და საძირკვლის ფილის სისქით);

4. ფუძის ანგარიშისთვის, ქვემოთ, ცხრილ 4-ში მოცემულია ხუთივე სგე-ს გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო-ნორმატიული მნიშვნელობები, მიღებული:

I სგე-ს თიხოვანი გრუნტისთვის (ფენა 2) _ ლაბორატორიულად განსაზღვრული ფიზიკურ-მექანიკური საანგარიშო მნიშვნელობების გამოყენებით;

II სგე-ს თიხოვანი გრუნტისთვის (ფენა 2′) _ ლაბორატორიულად განსაზღვრული ფიზიკური პარამეტრების ნორმატიული მნიშვნელობების გამოყენებით, პ.ნ. 02.01.08-ის დანართი 2-ის ცხრ. 2, 3 და დანართი 3-ის ცხრ. 3-დან;

III სგე-ს გრუნტისთვის (ფენა 3) _ ლაბორატორიულად განსაზღვრული ნომენკლატურის მიხედვით, პ.ნ. 02.01-08-ის დანართი 3-ის ცხრ. 1-ის და საცნობარო ლიტერატურის გამოყენებით;

IV სგე-ს გრუნტისთვის (ფენა 4) _ ს.ნ. და წ. 2.02.01-83-ის დამხმარე სახელმძღვანელოს ცხრ. 119-ის გამოყენებით;

V სგე-ს გრუნტისთვის (ფენა 5) _ ლაბორატორიულად განსაზღვრული ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობების საფუძველზე;

ხუთივე სგე-ს გრუნტისთვის საგების და პუასონის კოეფიციენტების საანგარიშო მნიშვნელობები, აღებულია „დამპროექტებლის საანგარიშოთეორიული ცნობარიდან“;

- გრუნტის მახასიათებლები(საანგარიშო მნიშვნელობები) მოყვანილია ცხრ. #4-ში;

5. ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას, ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯების მზიდუნარიანობა გაიანგარიშება ს.ნ. და წ. 2.02.03-85-ის მე-5 და მე-6 ფორმულებით, ან ამავე ნორმატიული დოკუმენტის აქტუალიზებული რედაქციით (сп 24.13330.2011).

ხიმინჯის ტანის შემომფენავი გრუნტებისთვის, საგების კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობები (Cz), აიღება ს.ნ. და წ. 2.02.03-85-ის დანართი 1-ის რეკომენდაციების მიხედვით;

6. საყრდენ გრუნტად თიხოვანი გრუნტის მიღებისას, მიზანშეწონილია ფუძეში გამოყენებული იქნას შემკვრივებული საბალასტო - ხრეშ-კენჭნაროვანი (ან ღორღოვანი) გრუნტი, სიმძლავრით არანაკლები 0.3მ-სა. საბალასტო გრუნტის ასეთი ფენა, იცავს თიხოვან ფუძე-გრუნტს ატმოსფერული ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედებისგან;

7. ფენობრივად (0.20_0.25მ.) შემკვრივებულ საბალასტო გრუნტზე დეფორმაციის მოდული შეიძლება მიღებული იქნას _ E=40მპა (400კგძ/სმ^2), ხოლო პირობითი საანგარიშო წინაღობა _ R_0=350 კპა (3.5კგძ/სმ^2);

8. მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გრუნტის წყალი შედარებით ღრმად არის გავრცელებული და არ წარმოადგენს ხელშემშლელ ფაქტორს დასაპროექტებელი შენობების ქვეშ ერთი მიწისქვეშა სართულის განთავსებისას. შენობებისთვის ერთზე მეტი მიწისქვეშა სართულის დაპროექტებისას, გრუნტის წყლის საპროგნოზო აწევის (1.0მ-მდე) მხედველობაში მიღებით, საჭირო იქნება სპეციალური ღონისძიებების დასახვა (ჰიდროიზოლაცია, დრენაჟი), სარდაფის სართულში წყლის შეღწევისგან დასაცავად;

9. გრუნტის წყალი არ წარმოადგენს აგრესიულ გარემოს საძირკვლების მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის;

10. დასაპროექტებელი შენობებისთვის საძირკვლების მოწყობისას (დამოკიდებული იქნება საძირკვლის კონკრეტული ტიპის მიღებაზე), შესაძლოა საჭირო გახდეს წყალქცევითი (ამოტუმბვა) სამუშაოების ჩატარება. წყლის საორიენტაციო მოდენი ქვაბულის ყოველი მ^2-დან მიღებული იქნეს 0.01ლ/წმ;

11. პ.ნ. 01.01_09-ის (“სეისმომედეგი მშენებლობა”) თანახმად, ქ. თბილისი მდებარეობს 8 ბალიანი სეისმურობის ზონაში. სეისმური თვისებების მიხედვით, ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) _ III კატეგორიას;

ბ) დანარჩენი გრუნტები (ფენები 2, 2', 3, 4 და 5) _ II კატეგორიას;

12. ქვაბულის ფერდოების მაქსიმალური დასაშვები დახრა, მიღებული იქნას ს.ნ. და წ. 3.02.01–87-ის, 3.11, 3.12 და 3.15 პუნქტების, აგრეთვე, ს.ნ. და წ. III-4-80-ის მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

შენიშვნა: 5 მ-ზე მეტი ქვაბულის ამოღებისას, უნდა შემუშავდეს ქვაბულის მთლიანი პერიმეტრის გამაგრების ღონისძიება;

13. დამუშავების სიძნელის მიხედვით, სნ და წ IV-2_82-ის I_I ცხრილის თანახმად, სამშენებლო ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ა) ნაყარი გრუნტი (ფენა 1) _ სამივე სახეობით (ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) დამუშავებისას _ II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1800კგ/მ^3 (რიგ. #24ა);

ბ) თიხოვანი გრუნტები (ფენები 2, 2′) _ ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას _ III ჯგუფს, ბულდოზერით _ II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1900კგ/მ^3 (რიგ. #8ვ);

14. ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას, გრუნტების კლასიფიკაცია ჯგუფების მიხედვით, ბურღვის მეთოდის და სიძნელის, აგრეთვე გრუნტების მდგრადობიდან გამომდინარე, აიღება ს.ნ. და წ. IV-2-82-ის კრებული 4-ის („ჭაბურღილები“) 4-5 და 4-6 ცხრილებიდან;

/გურამ იაშვილი/

ექსპერტი

ინჟინერ-გეოლოგი

დ ა ს კ ვ ნ ა:

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები აკმაყოფილებს საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების („სამშენებლო ნორმები და წესები“) მოთხოვნებს, რის გამოც – ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის #1-ში საცხოვრებელი კომპლექსის, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის (I ეტაპი) განკუთვნილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებს ეძლევა დადებით შეფასება.

ექსპერტი
ინჟინერ-გეოლოგი /გურამ იაშვილი/

ტექნიკური მენეჯერი /დავით ჯიბლაძე/

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: /ლალი აბუაშვილი/

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

EA BLA-ის ხელმომწერი

GAC-IB-0306

ადასტურებს, რომ

შპს „პონტიკა“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის №183/185;

შეფასდა და აკმაყოფილებს საქართველოს სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტაციის სფერო მოცემულია აკრედიტაციის მოწმობის დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
17 იანვარი 2023 წ.

ძალაშია
17 იანვარი 2027 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0306
განკარგულება №06/270
თარიღი: 27.12.2022 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე

A -ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „პონტიკა“

მისამართი: ქ. თბილისი,შ. ნუცუბიძის №183/185;

N	ინსპექტირების ობიექტი	ინსპექტირების ტიპი და ზღვარი	მეთოდები და პროცედურები
1.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, საშუალო საბაზრო ფასებთან ან/და პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ). გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-22-04-A19 ინსპექტირების პროცედურა
2.	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით)	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისთვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარული სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები - (СНиП - ნაწილი IV-82); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები - (ЕНиР); 3. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ). გამომცემელი - მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 4. ტექნიკური რეგლამენტი - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წ. 14 იანვრის დადგენილება N55); 5. ВниР "სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები"; 6. ВЗЕР „სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული"; 7. ССН «ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები" 8. PNT/IB/IP-7.1-22-04-A21 ინსპექტირების პროცედურა.

3.	ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების), შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით) აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 6. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 7. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა.
4.	ობიექტის ან მისი ნაწილის საინჟინრო ქსელების: • გათბობა ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების: -შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3;) 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ) 5. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N°340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 6. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41; 8. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 9. ისო/იეკ 11801-2017 10. PNT/IB/IP-7.1-22-04-A22 ინსპექტირების პროცედურა.

5.	ობიექტის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, საავტომობილო გზების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე) სუსტი დენების, გათბობა ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 4); 3. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე") 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 8. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N340. 2013 წლის 17 დეკემბერი); 9. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის # 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხანძრისგან ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 10. PNT/IB/IP-7.1-22-04-A23 ინსპექტირების პროცედურა;
6.	პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 4); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. PNT/IB/IP-7.1-22-04-A45 ინსპექტირების პროცედურა

7.	პროექტის არქიტექტურული ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 დეკემბერის დადგენილება N 732. (ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“) 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71) 5. PNT/IB/IP-7.1-22-04 A49 ინსპექტირების პროცედურა.
8.	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის (სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, საავტომობილო გზების, აეროდრომების) მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები“; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04 A44 ინსპექტირების პროცედურა
9.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ელ. მომარაგება 1000 ვ მდე და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ“

			(საქართველოს მთავრობის დადგენილება №340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N 366 დადგენილება „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ"; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A26 ინსპექტირების პროცედურა.
10.	პროექტის საინჟინრო ქსელების: სუსტი დენების და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП-ნაწილი 2); 2. საუწყებო სამშენებლო ნორმები (ВСН); 3. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 4. ელექტროდანადგართა მოწყობის წესები (ПУЭ); 5. ისო/იეკ 11801-2017; 6. PNT/IB/IP-7.1-22-04-A26 ინსპექტირების პროცედურა.
11.	პროექტის საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 5. PNT/IB/IP-7.1-22-04-A47 ინსპექტირების პროცედურა
12.	პროექტის საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის, ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის დადგენილება N41); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 4. PNT/IB/IP-7.1-22-04-A53 ინსპექტირების პროცედურა

''ახალი საქქალაქმშენპროექტი''
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი

დაკვეთა №58/2018

ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის №1-ში, საცხოვრებელი კომპლექსის, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობის (I ეტაპი) ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების უფროსი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2018 წ.

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"
(საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი)
საქართველო, თბილისი, 0160,
ალ. ყაზბეგის გამზ. №2 / პეკინის ქ. №34

"AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI" LTD.
(The Georgian Institute for Regional & Urban Planning)
2 A.Kazbegi Ave./ 34 Pekin Str. 0160,
Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 37 52 26; E-mail: sqmp_project@yahoo.com
www.sqmp-project.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

№№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	1
2	მიწერილობა	2
3	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	3 – 16
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
4	გრუნტების ლაბორატორიული კვლევების შედეგების კრებსითი ცხრილი	17 – 19
5	გრუნტების დამარილიანების ხარისხის გამოკვლევის შედეგები	20
6	კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი	21
7	კომპრესიული და ძვრაზე გამოცდის გრაფიკები – 12 გრაფიკი	22 – 35
8	გრუნტის სიმკვრივის მნიშვნელობების სტატისტიკური დამუშავება (დანართი 1, 2)	36 – 41
9	გრუნტის სიმტკიცის მახასიათებლების სტატისტიკური დამუშავება (დანართი 3)	42 – 46
10	გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა	47 – 51
	III გრაფიკული მასალა	
11	უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, გამონამუშევრების და ჭრილის ხაზების დატანით	ფ. №1
12	ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№2 – 6
13	უბნის გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№7 – 18
14	პირობითი აღნიშვნები	ფ. №19

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – საცხოვრებელი კომპლექსი, საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი (I ეტაპი).

დამკვეთი – შპს „ემკვადრატის პარკი“ (დირექტორი ირაკლი ბურდილაძე).

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი №1.

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.

კომპლექსის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.

დასაპროექტებელია სამი, 8, 10 და 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, სარდაფის ერთი სართულით, 3 სართულიანი საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის შენობები.

მშენებლობის ტიპი – ახალი მშენებლობა.

საძირკვლის მასალა – რკინაბეტონი.

საძირკვლის ტიპები – გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე.

შენობების კონსტრუქციული ტიპები – კარკასული.

დატვირთვა საძირკვლებზე – 150–220 კნ/მ^2 (15–22 ტძ/მ^2).

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიში (დასკვნა), წარმოდგენილი იქნეს აკინძული 3 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

დანართი: უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში.

დავალება გასცა ირ. ბურდილაძე

პროგრამა

ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის №1-ში, საცხოვრებელი კომპლექსის, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობის (I ეტაპი) ტერიტორიაზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

წინამდებარე პროგრამა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87-ის (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) 1.19, 1.20, 1.21 პუნქტების და პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) მოთხოვნების საფუძველზე.

ტექნიკური დავალების თანახმად, მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, გათვალისწინებულია სამი, 8–10–12 სართულიანი საცხოვრებელი სახლების და 3–3 სართულიანი საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობა.

დასაპროექტებელი კომპლექსის ტექნიკური მახასიათებლები, მოცემულია დართულ ტექნიკურ დავალებაში.

გეომორფოლოგიურად, საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის მარჯვენა ჭალისზედა ტერასის (I ტერასა) ნაწილს, უმნიშვნელო დახრით მდინარის მიმართულებით.

ამავე ტერიტორიაზე პროექტის სტადიაზე, 2014 წელს ჩატარებული იყო საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, რომელთა მასალები დაცულია განყოფილების არქივში.

აღნიშნული საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ, ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესასწავლად და დასაპროექტებელი კომპლექსის დაფუძნების საკითხის გადასაწყვეტად, შესრულდეს შემდეგი მოცულობის სამუშაოები:

1) დასაპროექტებელი საცხოვრებელი კომპლექსის, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის შენობების კონტურების ფარგლებში, თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ-1ვს“, მექანიკური სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით, გაიბურღოს 14 ჭაბურღილი, სავარაუდო სიღრმით 10–15 მ;
2) ჭაბურღილებიდან აღებული იქნეს ტერიტორიის ამგები გრუნტების ნიმუშები, სნ და წ 1.02.07-87-ის პ 3.75 მოთხოვნის შესაბამისად;
3) გრუნტის წყლის გამოვლინებისას (მოსალოდნელია 5,5–6,5 მ სიღრმეზე), ჭაბურღილებიდან აღებული იქნეს გრუნტის წყლის სინჯები ქიმიური ანალიზებისთვის და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების დასადგენად (რაოდენობით არანაკლები სამისა, პ 3.56).

ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ანგარიში (დასკვნა), თანახმად სნ და წ 1.02.07-87-ის მე-9 დანართისა, აიკინძოს 3 ეგზემპლარად და შესრულდეს ელექტრონული ვერსია.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის №1-ში, საცხოვრებელი კომპლექსის, საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობის (I ეტაპი) ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

თავი I – შესავალი

შპს „ემკვადრატის პარკი“-ს (დირექტორი ირ. ბურდილაძე) დაკვეთით (ხელშ.№58/2018), შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი”-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2018 წლის აპრილში, ზემოთ დასახელებულ მისამართზე, ჩაატარა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა:

– სამშენებლო ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დახასიათება;
– დასაპროექტებელი კომპლექსის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა.

ტექნიკური დავალების თანახმად, ტერიტორიაზე გათვალისწინებულია: სამი 8, 10 და 12 სართულიანი საცხოვრებელი სახლების, 3–3 სართულიანი საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია თანდართულ ტექნიკურ დავალებაში.

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, ტექნიკური დავალების საფუძველზე შედგენილი პროგრამის თანახმად, დასაპროექტებელი კომპლექსის შენობათა კონტურების ფარგლებში, ტოპოგეგმაზე მონიშნულ ადგილებში, პროგრამაში მითითებული მეთოდით გაიბურღა 14 ჭაბურღილი, სიღრმით 9,0–17,0 მ, მათ შორის №2 შურფ-ბურღილია, რომელიც, საბურღი დაზგის მიუდგომლობის გამო იქნა გაყვანილი.

შესრულებული სამუშაოს მთლიანი მოცულობა 172,0 გრძ. მეტრია, მათ შორის შურფი – 1 მ.

სამშენებლო ტერიტორიის ამგები გრუნტებიდან, აღებულია დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის 40 ნიმუში.

გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზებისთვის და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების დასადგენად, აღებულია გრუნტის წყლის 4 სინჯი.

თიხოვანი, მსხვილნატეხოვანი, ძირითადი ქანების ნიმუშების გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები, ჩატარდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, დ. ახობაძის ხელმძღვანელობით.

საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ჭაბურღილები ლიკვიდირებულია განაბურღი გრუნტით.

ტოპოსაფუძვლად, გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული 1:500 მასშტაბის ტოპოგეგმა, რომლის მიხედვით შესრულდა ჭაბურღილების გეგმურ-სიმაღლითი მიბმა და გეოლოგიური ჭრილების აგება.

საველე სამუშაოები ჩატარდა განყოფილების ინჟინერ გეოლოგის კ. სირაძის ხელმძღვანელობით.

თავი II – საკვლევი ტერიტორიის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, კლიმატური მონაცემები, გეომორფოლოგიური, ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები)

დასაპროექტებელი კომპლექსის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია, მდებარეობს ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირის №1-ში.

ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება მარშალ გელოვანის გამზირი და გზისპირა გამწვანების ზოლი;

ჩრდილო-დასავლეთიდან – „სოკარის“ ბენზინგასამართი სადგური;

სამხრეთიდან – წყალსადენის ცენტრალური მაგისტრალი;

აღმოსავლეთიდან – თავისუფალი ტერიტორია, მრავალწლიანი ნარგავებით.

პნ 01.05.08-ის („სამშენებლო კლიმატოლოგია“) თანახმად, რაიონის (დიღმის მონაცემები) ძირითადი კლიმატური მახასიათებლები შემდეგია:

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –23°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;

– ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 560 მმ;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 15;

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – W_0=0,60 კპა;

– ქარის უდიდესი სიჩქარე, შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 31 მ/წმ;

– ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0,0 მ.

გეომორფოლოგიურად, სამშენებლო ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჭალისზედა ტერასის (I ტერასა) ნაწილს, მცირედ დახრილი

მდინარის მიმართულებით, რომლის აბსოლუტური ნიშნულები სამშენებლო ტერიტორიის საზღვრებში მერყეობენ 415,20–420,30 მ-ის ფარგლებში.

ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები (ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობა) და მათი მფარავი მეოთხეული საფარი: ალუვიური (αQ_{IV}) მსხვილნატეხოვანი, დელუვიური (dQ_{IV}) თიხოვანი და ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტები.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, ტერიტორია ხასიათდება მიწისქვეშა წყლების სარკის, არცთუ ღრმა მდებარეობით (4,70–8,5 მ), ცირკულირებენ დელუვიურ თიხოვან გრუნტებში და იკვებებიან ატმოსფერული ნალექების და მდინარის შორეული ფილტრატების ხარჯზე.

შემდგენელი კომპონენტების მიხედვით, გრუნტის წყალი მინერალიზებულია და ხასიათდება სულფატური აგრესიულობის სხვადასხვა ხარისხით.

თავი III – ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

III_1 – ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მონაცემების მიხედვით, შედგენილია ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები და შენობათა კონტურების მიმართ გეოლოგიური ჭრილები.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, ტერიტორიაზე მიწის ზედაპირიდან 1,4–5,0 მ-ის სიღრმემდე გავრცელებულია სუსტად შემკვივებული ტექნოგენური (tQ_{IV}) გრუნტი – ნაყარი, თიხის, კენჭების, ღორღის და აგურის ნატეხების ნარევი (ფენა 1).

ნაყარის ქვეშ, 4,9–12,20 მ-ის სიღრმემდე, გავრცელებულია დელუვიური (dQ_{IV}), ნახევრადმყარი – ძნელპლასტიკური კონსისტენციის, თაბაშირიანი, ყავისფერი თიხა (ფენა 2), სიმძლავრით 3,5–7,2 მ.

თიხოვანი გრუნტის ქვეშ, 4,9–12,2 მ-ის სიღრმიდან, გავრცელებულია ალუვიური (αQ_{IV}) მსხვილნატეხოვანი – 30%-მდე თიხიანი ქვიშის შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტი (ფენა 3), სიმძლავრით 1,70–2,5 მ, რომელიც შემოფენილია ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანებით, ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობით.

ძირითადი ქანი ეროზიული ზედაპირიდან 0,8–1,20 მ-ის სიღრმემდე გამოფიტულია (ფენა 4), სიღრმეში – ნაკლებად გამოფიტული (ფენა 5).

ნაკლებად გამოფიტული (ფენა 5) მორიგეობის ხილული სიმძლავრე 1,0–4,0 მ-ია.

გეოლოგიური საფონდო მონაცემებით ზედა ეოცენის ძირითადი ქანების სიმძლავრე რამდენიმე ასეული მეტრია.

III$_2$ – ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობები

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ, მიწისქვეშა წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში, 4,70–8,80 მ-ის სიღრმეზე, დამყარების დონით 4,40–8,50 მ სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან.

წყლები ცირკულირებენ ფენა 2-ის დელუვიურ თიხებში (მსხვილნატეხოვანი გრუნტის კონტაქტთან ახლოს) და წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის შედეგს.

გრუნტის წყლის სარკე დაახლოებით იმავე დონეზეა, რაც დაფიქსირდა 2014 წელს შესრულებული კვლევისას.

გრუნტის წყლის დონის აწევის პროგნოზირებისას, მხედველობაშია მისაღები ტერიტორიის ფართობი და მისი შემდგომი ინტენსიური ათვისება სამშენებლო მიზნებისთვის, რასაც მუდმივად თან ახლავს მიწისქვეშა წყალშემცველი კომუნიკაციებიდან წყლის გაჟონვები და შესაბამისად, გრუნტის წყლის დონის აწევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გრუნტის წყლის სარკის მაქსიმალური აწევის საპროგნოზო დონედ შეიძლება მიღებული იქნეს +1,0 მ მიმდინარე კვლევისას დაფიქსირებულ დამყარების დონეებთან მიმართებაში (II კლასის შენობა-ნაგებობებით განაშენიანების პირობებში, 15 წლიანი საპროგნოზო შეფასების მხედველობაში მიღებით).

თავი IV – ბრუნტების და გრუნტის წყლის ლაბორატორიული შესწავლის შედეგები

IV$_1$ – ბრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც შესავალში აღინიშნა, ჭაბურღილებიდან აღებული იყო თიხოვანი გრუნტის (ფენა 2) დაურღვეველი სტრუქტურის 26 ნიმუში, მსხვილნატეხოვანი გრუნტის (ფენა 3) დარღვეული სტრუქტურის 6 ნიმუში (კერნის მთლიანი გამოსავალი) და ძირითადი ქანის (ფენა 5) დაურღვეველი სტრუქტურის 8 ნიმუში (4–4 ნიმუში მდგენელი ფენებიდან: არგილითი და ქვიშაქვა).

თიხოვან გრუნტზე განისაზღვრა ფიზიკური მახასიათებლების სრული კომპლექსი. შედეგები დასკვნას ერთვის კრებსითი ცხრილის სახით.

ქვემოთ ცხრილ 1-ში, მოსახერხებელი გამოყენებისთვის, კრებსითი ცხრილიდან ამოკრებილია თიხოვანი გრუნტის (ფენა 2) ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და გამოთვლილია საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები.

ცხრილი 1

№№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეთა ცვალებადობის დიაპაზონი ფენა $\frac{2}{2^{I}}$	საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა ფენა $\frac{2}{2^{I}}$
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	$\frac{0.18-0.21(15)}{0.18-0.21(11)}$	$\frac{0.19}{0.20}$
2	ტენიანობა		W	%	$\frac{16.8-23.7}{24.0-29.0}$	$\frac{19.8}{26.8}$
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	$\frac{1.83-1.94}{1.86-1.96}$	$\frac{1.87}{1.91}$
		მშრალი გრუნტის	ρ_d		$\frac{1.49-1.62}{1.45-1.55}$	$\frac{1.56}{1.50}$
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		$\frac{2.71-2.73}{2.72-2.73}$	$\frac{2.72}{2.72}$
4	ფორიანობა		n	%	$\frac{40.5-45.3}{43.2-46.6}$	$\frac{42.6}{44.8}$
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	$\frac{0.681-0.829}{0.760-0.873}$	$\frac{0.744}{0.813}$
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	$\frac{0.01-0.22}{0.28-0.48}$	$\frac{0.10}{0.38}$
7	ტენიანობის ხარისხი		Sr	–	$\frac{0.62-0.79}{0.85-0.96}$	$\frac{0.73}{0.90}$

შენიშვნა: ცხრილში მახასიათებლები მოცემულია წილადის სახით – მრიცხველში ნახევრადმყარი კონსისტენციის არასრულად წყალგაჯერებულის, მნიშვნელში – სრულად წყალგაჯერებული ძნელპლასტიკური კონსისტენციის გრუნტის.

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობების მიხედვით, გრუნტი მიეკუთვნება ნახევრადმყარი – ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხას (I_P=0,19–0,20). 26 განსაზღვრიდან 15 შემთხვევაში გრუნტი წარმოადგენს არასრულად წყალგაჯერებულ (S_r=0,62–0,79<0,80). ნახევრადმყარი კონსისტენციის ($\overline{I_L}$=0,10) თიხას, 11 შემთხვევაში გრუნტი სრულად წყალგაჯერებული (S_r=0,85–0,96>0,80), ძნელპლასტიკური კონსისტენციის ($\overline{I_L}$=0,38) თიხაა.

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები გამოიყენება საანგარიშოდ.

ფიზიკური პარამეტრების განსაზღვრის შემდეგ, მოკლე დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ თიხოვანი გრუნტი ერთი გენეზისის და ლითოლოგიური ტიპისაა, ის უნდა დაიყოს 2 საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტად – ჭრილის ზედა ნაწილში წარმოდგენილი თიხები არასრული წყალგაჯერების და ნახევრადმყარი კონსისტენციისაა, ხოლო ჭრილის ქვედა ნაწილში გრუნტის წყლის გავრცელების კაპილარული აწევის ზონაში – სრულად წყალგაჯერებული და ძნელპლასტიკურია. შესაბამისად ეს მდგომარეობა ასახულია გეოლოგიურ-ლითოლოგიურ ჭრილებზე და გრუნტი დაიყო ორ ფენად – ფენა 2 – ნახევრადმყარი კონსისტენციის და ფენა 2| – ძნელპლასტიკური კონსისტენციის თიხები.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ჩატარდა გრუნტების სიმკვრივეების სტატისტიკური დამუშავება და გამოთვლილი სიმკვრივეების ნორამატიული და საანგარიშო მნიშვნელობები. სტატისტიკური დამუშავების შედეგები დასკვნას ერთვის დანართების (№№1, 2) სახით, ხოლო რიცხვითი მნიშვნელობები მოცემულია დასკვნითი ნაწილის ცხრილში.

ფენა 2-ის თიხოვან გრუნტზე ჩატარდა კომპრესიული და ძვრაზე გამოცდები (7–7 გამოცდა). წყალთან რეაქციის წარმოსაჩენად, გრუნტი 2,0 კგძ/სმ^2-ზე დასველდა.

კომპრესიული ცდების შედეგები ასახულია შესაბამის გრაფიკებზე და ერთვის დასკვნას.

ქვემოთ ცხრილ 2-ში შეტანილია ჯდენის მოდულის მნიშვნელობები 2,0 კგძ/სმ^2 (გრუნტზე გადაცემული მოსალოდნელი დატვირთვა) და 3,0 კგძ/სმ^2 ვერტიკალურ დატვირთვებზე (დატვირთა, რომლის დროსაც ფასდება გრუნტის კუმშვადობა ℓp-ს მიხედვით), აგრეთვე დეფორმაციის თავისუფალი მოდულის მნიშვნელობები დატვირთვების საწყის ინტერვალში (1,0–2,0 კგძ/სმ^2).

ცხრილი 2

რიგ.№№	ჭაბ. №№	ნიმუშის ღების სიღრმე, h მ	ლაბ. №№	ჯდენის მოდული ℓp მმ/მ დატვირთვისას		დეფორმაციის თავისუფალი მოდული $E_{1.0-2.0}$ კგძ/სმ^2
			გრაფ. №№	P=2,0კგძ/სმ^2	P=3,0 კგძ/სმ^2	

1	ჭაბ.№1	7,0	$\frac{525}{1}$	27	33	$\frac{169-240-300}{236}$
2	ჭაბ.№3	4,0	$\frac{530}{2}$	30	36	$\frac{171-240-300}{237}$
3	ჭაბ.№4	4,5	$\frac{535}{3}$	26	31	$\frac{200-240-400}{280}$
4	ჭაბ.№5	4,0	$\frac{540}{4}$	30	36	$\frac{171-240-400}{270}$
5	ჭაბ.№6	4,0	$\frac{544}{5}$	30	34	$\frac{171-200-300}{224}$
6	ჭაბ.№9	4,0	$\frac{550}{6}$	34	38	$\frac{145-232-236}{204}$
7	ჭაბ.№14	3,5	$\frac{560}{7}$	22	28	$\frac{171-300-400}{290}$
საშუალო მნიშვნელობა				28	34	249

